საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 4178/01
21/04/2022

4178-01-2-202204211812

შპს „ვინგსს“

მის: ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი № 37მ, სართული 19, ბინა №56

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი №6045 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება თელავის მუნიციპალიტეტში, სოფ. ნაფარეულში არსებული წყალსაცავის (ტბორის) ექსპლუატაციას.

გაცნობებთ, რომ წარმოდგენილ სკრინინგის განცხადებაში მოცემული არ არის და დაზუსტებას საჭიროებს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- მდ. ლოპოტაზე არსებული წყალმომხმარებელების თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაცია საჭიროებს დაზუსტებას. ამასთანავე, დოკუმენტში შეფასებული არ არის არსებული წყალმომხმარებელების ზემოქმედება მდ. ლოპოტას ჰიდროლოგიურ რეჟიმზე;
- სკრინინგის განცხადებაში მითითებულია, რომ „მდ. ლოპოტას საშუალო წლიური ხარჯი, მდ. ალაზნის შესართავთან შეადგენს 6,58 მ³/წმ-ს“. დაზუსტებას საჭიროებს აღნიშნული ინფორმაციის წყარო. ამასთან, დოკუმენტში წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია მდ. ლოპოტას მინიმალური ხარჯების თაობაზე;
- დოკუმენტში არასრულად არის მოცემული ინფორმაცია ჩამდინარე წყლების შესახებ, ასევე, არ არის წარმოდგენილი ტბორიდან გამომავალი წყლის ნიადაგზე, გრუნტზე და მიწისქვეშა წყლებზე ზემოქმედების შესახებ ინფორმაცია.

ზემოაღნიშნული შენიშვნების გათვალისწინებით, მიზანშეწონილია მონაცემები მდინარის ჰიდროლოგიური რეჟიმის შესახებ მომზადებულ იქნეს შესაბამისი დარგის სპეციალისტის მიერ.

დამატებით გაცნობებთ, რომ ზემოაღნიშნულ საქმიანობასთან დაკავშირებით, სხვადასხვა პერიოდში, წარმოდგენილი იქნა რამდენიმე სკრინინგის განცხადება, რასთან დაკავშირებითაც მომზადდა და საქმიანობის განმახორციელებლს გაეგზავნა შესაბამისი შენიშვნები, თუმცა, სკრინინგის დოკუმენტაცია მხოლოდ ნაწილობრივ მოიცავდა/მოიცავს სამინისტროს შენიშვნების შესაბამისად შესწორებულ ინფორმაციას. **აღნიშნულიდან**

გამომდინარე, გთხოვთ, უზრუნველყოთ სამინისტროს მიერ საქმიანობასთან დაკავშირებით წარმოდგენილი თითოეული შენიშვნის სკრინინგის განცხადებაში სრულად გათვალისწინება და სრულყოფილი დოკუმენტაციის წარმოდგენა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამინისტრო კანონმდებლობის შესაბამისად, სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით შესწორებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე